ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის სხდომის

**ოქმი N 16**

20 იანვარი, 2023 წელი ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი N 2

13:00 სთ

კომისიის სხდომას უძღვებოდა სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე ნინო ვარდოსანიძე

სხდომას ესწრებოდნენ სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის წევრები:

თინათინ ნიბლოშვილი

მარიამ ზაქარიაშვილი

შალვა ოგბაიძე

სხდომას სათათბირო ხმის უფლებით ესწრებოდა თბილისის საკრებულოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ზურაბ ჩიკვილაძე.

კომისიის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დღის წესრიგით წარმოდგენილ საკითხებს:

# დღის წესრიგი

1. ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, მირიან მეფის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და პეტრე იბერის შესახვევისთვის ჩოგბურთელის, მწვრთნელის თეიმურაზ კაკულიას ქუჩის სახელის მინიჭების შესახებ.
2. ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, ლიხაურის ჩიხისთვის კინომსახიობის გოჩა აბაშიძის ქუჩის სახელის მინიჭების შესახებ.
3. ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, სამასი არაგველის III შესახვევისთვის ოპერის მომღერლის ზურაბ სოტკილავას ქუჩის სახელის მინიჭების შესახებ.
4. ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, არბოშიკის ქუჩისთვის რეჟისორის გურამ მელივას სახელის მინიჭების შესახებ.
5. ქალაქ თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, დავით სულიაშვილის ქუჩისთვის მსახიობის გურამ საღარაძის სახელის მინიჭების შესახებ.
6. ქალაქ თბილისში, კრწანისის რაიონში, ფაბრიკის შესახვევისთვის არქიტექრორის ალექსანდრე შიმკევიჩის ქუჩის სახელის მინიჭების შესახებ.
7. ქალაქ თბილისში, კრწანისის რაიონში, ვახტანგ გორგასლის III შესახვევისთვის და მასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის ძმები სიმენსების ქუჩის სახელის მინიჭების შესახებ.
8. ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, ბროლოსანის ქუჩისთვის ექიმი ნეფროლოგის მერი გელოვანის სახელის მინიჭების შესახებ.
9. ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, ვახტანგ ჭაბუკიანის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული შესახვევისთვის მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორის თამარ დეკანოსიძის სახელის მინიჭების შესახებ.

10. ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში, დემნა შენგელაიას ქუჩისთვის აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის თორნიკე ქურდაძის სახელის მინიჭების შესახებ.
11. ქალაქ თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, ქედის შესახვევისთვის და მასთან არსებული ორი ჩიხისთვის მწერლის დემნა შენგელაიას სახელის მინიჭების შესახებ.
12. ქალაქ თბილისში, მთაწმინდის რაიონში, ზაალ დუმბაძის ქუჩისთვის გერგეტის შესახვევის სახელის მინიჭების შესახებ
13. ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, შუამთის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის პოლკოვნიკის ზაალ დუმბაძის სახელის მინიჭების შესახებ.
14. ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, დიმიტრი ჟღენტის ქუჩის მონაკვეთისთვის საზოგადო მოღვაწის, პროფესორ გურამ თავართქილაძის სახელის მინიჭების შესახებ.
15. ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, ჭიჭიკო ბენდელიანის გორისთვის მევიოლინე მარინე იაშვილის ქუჩის სახელის მინიჭების შესახებ.
16. ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, პეტრე გრუზინსკის ქუჩის შესახვევისთვის, მასთან არსებული უსახელო ჩიხისთვის და ჭიჭიკო ბენდელიანის II ჩიხისთვის სამხედრო მოღვაწის, გენერალ ნესტორ გარდაფხაძის სახელის მინიჭების შესახებ.
17. ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, ალექსანდრე სუვოროვის ქუჩისთვის და ლამისყანის ქუჩის მონაკვეთისთვის საზოგადო მოღვაწეების ნიკოლოზ და გიორგი ხიმშიაშვილების სახელის მინიჭების შესახებ.
18. ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, სიმონ და თინა ყაუხჩიშვილების ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული ერთი ჩიხისთვის ლოტბარის თემურ ქევხიშვილის სახელის მინიჭების შესახებ.
19. ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში, მიხეილ იპოლიტოვ-ივანოვის ქუჩის მონაკვეთისთვის, I ჩიხის მონაკვეთისთვის და ილორის ქუჩის მონაკვეთისთვის კომპოზიტორის თამარ ვახვახიშვილის სახელის მინიჭების შესახებ.
20. ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში, მიხეილ იპოლიტოვ-ივანოვის II ჩიხისთვის ქერჩის ქუჩის I ჩიხის სახელის მინიჭების შესახებ.
21. ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში, მიხეილ იპოლიტოვ-ივანოვის ქუჩისთვის, მასთან არსებული ჩიხებისთვის, შესახვევებისთვის და გასასვლელებისთვის ახალი სიტუაციური ნახაზის შესაბამისად მიხეილ იპოლიტოვ-ივანოვის სახელის მინიჭების შესახებ.
22. ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, ალექსი შიუკაშვილის ქუჩის გაგრძელების შესახებ.

სხდომის თავმჯდომარემ და  კომისიის წევრებმა დღის წესრიგით წარმოდგენილი თითოეული საკითხი განიხილეს და  საკუთარი მოსაზრებები გამოთქვეს.

კომისიის თავმჯდომარემ, ნინო ვარდოსანიძემ კომისიის წევრებს გააცნო პირველი საკითხი, რომელიც შეეხება საბურთალოს რაიონში, მირიან მეფის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და პეტრე იბერის შესახვევისთვის ჩოგბურთელის, მწვრთნელის თეიმურაზ კაკულიას ქუჩის სახელის მინიჭებას.  თეიმურაზ კაკულიამ ალექსანდრე მეტრეველთან ერთად წყვილთა თანრიგში 1972-76 წლებში ევროპის ოთხგზის ჩემპიონობა მოიპოვა მოყვარულთა შორის. იგი იყო ევროპის ექვსგზის ჩემპიონი, მონაწილეობა მიიღო „გრანდ სლემის“ 16 ტურნირში. კომისიის წევრებმა საკითხს დადებითი რეკომენდაცია მისცეს.

მეორე საკითხი შეეხება  საბურთალოს რაიონში, ლიხაურის ჩიხისთვის კინომსახიობის,  გოჩა აბაშიძის ქუჩის სახელის მინიჭებას.  გოჩა აბაშიძემ თავისი ხანმოკლე ცხოვრების მანძილზე შექმნა ყველასთვის დაუვიწყარი  კინოსახეები: დათო ("ისინი ჩამივიდნენ მთიდან", 1954), ბადრი ("ცისკარა", 1955), თედო ("ჩრდილი გზაზე", 1956), მილიციელი ("აბეზარა", 1956), ვაჟა თაბაგარი ("ჩვენი ეზო", 1956), მანუჩარი ("მაია წყნეთელი", 1959), ელგუჯა ("სად არის შენი ბედნიერება, მზია?“, 1959), გაბრო ("გლახის ნაამბობი", 1961). გოჩა აბაშიძე ცხოვრობდა საბურთალოს რაიონში. ლიხაურის ჩიხის შესწავლისას დადგინდა, რომ იგი მდებარეობს ლიხაურის ქუჩისგან დამოუკიდებლად, არასოდეს ძირითად ქუჩასთან კავშირი არ ჰქონია და მიზანშეწონილია მისი ქუჩად ფორმირება.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა აღნიშნულ საკითხს, რომელსაც კომისიის წევრებმა დადებითი რეკომენდაცია მისცეს.

მესამე საკითხის განხილვისას ნინო ვარდოსანიძემ ისაუბრა ისნის რაიონში, სამასი არაგველის III შესახვევისთვის ოპერის მომღერლის ზურაბ სოტკილავას ქუჩის სახელის მინიჭების შესახებ. ზურაბ სოტკილავა იყო თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტი, საქართველოს სახალხო არტისტი, პედაგოგი, ბოლონიის სამუსიკო აკადემიის საპატიო აკადემიკოსი. სამასი არაგველის III შესახვევი ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით წარმოადგენს დამოუკიდებელ ქუჩას.  კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი აღნიშნულ საკითხს.

მეოთხე საკითხი შეეხება ისნის რაიონში არბოშიკის ქუჩისთვის რეჟისორის გურამ მელივას სახელის მინიჭებას. გურამ მელივა იყო რეჟისორი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, საქართველოს სახალხო არტისტი, ღირსების ორდენის კავალერი, „ხელოვნების ქურუმის“ წოდების მფლობელი. ვინაიდან არბოშიკი ტიპიური ქართული სოფელია დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში და არ მიეკუთვნება ტოპონიმურ

სახელწოდებათა რიგს, კომისიამ აღნიშნულ ცვლილებას დადებითი რეკომენდაცია გაუწია.

სოტკილავას და მელივას ქუჩები იქნება ერთმანეთის მიმდებარედ.

ასევე დადებითად გადაწყვიტა კომისიამ ჩუღურეთის რაიონში, დავით სულიაშვილის ქუჩისთვის მსახიობ გურამ საღარაძის სახელის მინიჭების საკითხი. კომისიამ მნიშვნელოვნად მიიჩნია, რომ დედაქალაქში არსებობდეს მსახიობის, შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და სახელმწიფო პრემიების ლაურეატის, ღირსების ორდენის კავალერის გურამ საღარაძის ქუჩა.

ნინო ვარდოსანიძემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგით წარმოდგენილი მეექვსე საკითხი _ ფაბრიკის შესახვევისთვის არქიტექრორის ალექსანდრე შიმკევიჩის ქუჩის სახელის მინიჭების შესახებ. ქართულ-პოლონური ურთიერთობები საუკუნეებს ითვლის და მათმა შთამომავლებმა მნიშვნელოვანი კვალი დატოვეს მოღვაწეობის ყველა სფეროში. მათ შორის გამორჩეული ადგილი უკავია ალექსანდრე შიმკევიჩს, რომელიც მე-19 საუკუნის ბოლოს თბილისის მთავარი არქიტექტორი იყო. შოთა რუსთაველის სახელობის დრამატული თეატრი, კონსერვატორია, უზენაესი სასამართლო და არაერთი ისტორიული შენობა, რომელიც დედაქალაქის სავიზიტო ბარათია, ალექსანდრე შიმკევიჩის პროექტებს შორისაა. კომისიამ დადებითი რეკომენდაცია გაუწია აღნიშნულ საკითხს.

დღის წესრიგით წარმოდგენილი მეშვიდე საკითხი კრწანისის რაიონში, ვახტანგ გორგასლის III შესახვევისთვის და მასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის ძმები სიმენსების ქუჩის სახელის მინიჭებას შეეხება. ძმებ სიმენსებს განსაკუთრებული დამსახურება აქვთ საქართველოს ინდუსტრიულ განვითარებაში. ვახტანგ გორგასლის III შესახვევი განაშენიანების ხარჯზეა განვითარებული და ყალიბდება ქუჩად. კომისიის წევრებმა დადებითი რეკომენდაცია გაუწიეს აღნიშნულ საკითხს.

დღის წესრიგით გათვალისწინებული მერვე საკითხი შეეხება საბურთალოს რაიონში, ბროლოსნის ქუჩისთვის ექიმი-ნეფროლოგის მერი გელოვანის სახელის მინიჭებას. გამოიკითხა ბროლოსნის ქუჩის მოსახლეობა და დადგინდა, რომ მაცხოვრებლების უმრავლესობა თანახმაა აღნიშნულ ქუჩას მიენიჭოს მერი გელოვანის სახელი. ხსენებული ქუჩის მაცხოვრებლების გადმოცემით, მერი გელოვანი 40 წელზე მეტხანს ცხოვრობდა ამ ქუჩაზე. კომისიამ დადებითად გადაწყვიტა წარმოდგენილი საკითხი.

სხდომის თავმჯდომარის, ნინო ვარდოსანიძის ინფორმაციით, საბურთალოს რაიონში, ვახტანგ ჭაბუკიანის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩას და მასთან არსებულ შესახვევს მიენიჭება მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ თამარ დეკანოსიძის სახელი. იგი იყო საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, აკადემიის წევრ-

კორესპონდენტი, ღირსების ორდენის კავალერი, თბილისის საპატიო მოქალაქე. კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი აღნიშნულ საკითხს.

ასევე დადებითად გადაწყვიტა კომისიამ გლდანის რაიონში, დემნა შენგელაიას ქუჩისთვის აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის თორნიკე ქურდაძის სახელის მინიჭება, ხოლო დემნა შენგელაიას სახელი მიენიჭება ჩუღურეთის რაიონში ქედის შესახვევს და მასთან არსებულ ორ ჩიხს.

ნინო ვარდოსანიძის ინფორმაციით მეთორმეტე და მეცამეტე საკითხები შეეხება მთაწმინდის რაიონში ზაალ დუმბაძის ქუჩისთვის გერგეტის სახელის მინიჭებას, ხოლო ზაალ დუმბაძის ქუჩის სახელი მიენიჭება სამგორის რაიონში, შუამთის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩას.

ნინო ვარდოსანიძის მიერ წარმოდგენილ საკითხს, რომელიც შეეხება ნაძალადევის რაიონში, დიმიტრი ჟღენტის ქუჩის მონაკვეთისთვის პროფესორ გურამ თავართქილაძის სახელის მინიჭებას, კომისიამ დადებითი რეკომენდაცია მისცა.

კომისიის თავმჯდომარის, ნინო ვარდოსანიძის ინფორმაციით ასევე ნაძალადევის რაიონში განხორციელდება შემდეგი სახელდებები: ჭიჭიკო ბენდელიანის გორას მიენიჭება მევიოლინე მარინე იაშვილის ქუჩის სახელი; პეტრე გრუზინსკის ქუჩის შესახვევს, მასთან არსებულ უსახელო ჩიხს და ჭიჭიკო ბენდელიანის II ჩიხს სამხედრო მოღვაწის, გენერალ ნესტორ გარდაფხაძის სახელი მიენიჭება; ასევე ალექსანდრე სუვოროვის ქუჩას და ლამისყანის ქუჩის მონაკვეთს მიენიჭება საზოგადო მოღვაწეების ნიკოლოზ და გიორგი ხიმშიაშვილების სახელი.

კომისიის წევრებმა მხარი დაუჭირეს აღნიშნულ საკითხებს.

ნინო ვარდოსანიძემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგით წარმოდგენილი მეთვრამეტე საკითხი, რომელიც შეეხება ისნის რაიონში, სიმონ და თინა ყაუხჩიშვილების ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული ერთი ჩიხისთვის ლოტბარის თემურ ქევხიშვილის სახელის მინიჭებას. თემურ ქევხიშვილს მიღებული ჰქონდა საქართველოს სახელმწიფო პრემია, დაჯილდოებულია ღირსების ორდენით. 2013 წელს ფონდმა „ქართული გალობამ“ თემურ ქევხიშვილი „საუკუნის ხმად“ აღიარა. კომისიის წევრებმა აღნიშნული საკითხი დადებითად შეაფასეს.

მეცხრამეტე, მეოცე და ოცდამეერთე საკითხები შეეხება გლდანის რაიონში მიხეილ იპოლიტოვ-ივანოვის ქუჩის მიმდებარედ არსებულ ტერიტორიებზე გარკვეული უზუსტობების აღმოფხვრას. მიხეილ იპოლიტოვ-ივანოვის ქუჩის მონაკვეთს, I ჩიხის მონაკვეთს და ილორის ქუჩის მონაკვეთს კომპოზიტორ თამარ ვახვახიშვილის სახელი მიენიჭება. ასევე მიხეილ იპოლიტოვ-ივანოვის II ჩიხს ქერჩის ქუჩის I ჩიხის სახელი მიენიჭება და მიხეილ იპოლიტოვ-ივანოვის ქუჩას, მასთან არსებული ჩიხებს, შესახვევებს და გასასვლელებს ახალი სიტუაციური ნახაზის შესაბამისად მიხეილ იპოლიტოვ-ივანოვის სახელი მიენიჭება.

ნინო ვარდოსანიძემ კომისიის წევრებს მიაწოდა ინფორმაცია ოცდამეორე საკითხის შესახებ, რომლის თანახმად სამგორის რაიონში გაგრძელდება ალექსი შიუკაშვილის ქუჩა.

ნინო ვარდოსანიძის განცხადებით, წარმოდგენილი საკითხები მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ინიციატივებად დარეგისტრირდება საკრებულოს წინაშე, რეგისტრაციიდან არაუადრეს 20 დღისა გაიმართება საჯარო განხილვა და ამის შემდგომ მოხდება საკრებულოს სხდომაზე გატანა.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სახელდებისა და სიმბოლიკის

კომისიის თავმჯდომარე

ნინო ვარდოსანიძე